



ნახ. ჯ. ლოლუასი

ივადით, რფანით, აკნეზის
 რუპით,
 სვავით, პარაჟით, მიზნებით
 ზრფალით

მოვიდა იგი - მზვიდოვის
 მტვალნი -
 ოცდამეზვიდა
 ყრილოვის ზალი!

სიკნუნი

№ 1

იანვარი
 1985



ვინ თქვა მშვიდობა?!
 თქვა — ეს ყურე რომ ის ყურა?!
 რა თავში ვინღი
 მე მშვიდობას — ომი მწყურია!

არის სიკეთე —
 კუყავს სიკეთეს მტრად ბოროტება:
 გრძელდება ომი,
 გრძელდება და არ ბოლოვდება!

ხალთაში შუბით,
 ლილილოში ცისფერ იებით,
 დაე, დაზავდნენ
 საშუალოდ იმპერიები!


რაკი ვეკუთვნით
 ჩვენ რუსთაველს, ვეკუთვნით დანტეს,
 ვეკუთვნით პუშკინს —
 საუკუნო ჩვენ ომი გვმართებს!

ომი დიადი,
 უმძიმესი არანაკლებად,
 კაცობრიობის
 კაცთა მოდემის ასამაღლებლად!

მამ, წინ! — წინ, სულის უღრანებში
 ქარიშხლით მძაფრით!
 წინ, წინ! —
 ცალ ხელში მახვილით და
 ცალ ხელში ლამპრით!

ვინ თქვა მშვიდობა?!
 სული ცეცხლის მომიჯნურა!
 რა თავში ვინღი
 მე მშვიდობას — ომი მწყურია!

გურგან ლეგანიძე



ნახ. ბ. ლომიძისა

ოთხმოცდახუთი — ძველია,
 ოთხმოცდაექვსი — ახალი!
 ოთხმოცდაექვსი! — ლექსივით
 ფლერს ახალი წლის სახელი!

ან ის რა კარგად წავიდა,
 ან ეს რა კარგად მოვიდა!
 მოვიდა, სავსე სინდისით,
 ახალი ძალით, ღონითა!

ან ეს რა კარგად მოვიდა,
 ან ის რა კარგად წავიდა!
 სამშობლო ჩვენი ცხოვრებას
 თითქოს იწყებდეს თავიდან!

მოწეულია ეს ღვინო
 მხოლოდ მარჯვენით ჩვენითა!
 ამ ღვინის სადღეგრძელოსაც
 ვსვამ მანდარინის წვენითა!

ხურც მეჩაიე ქალები
 ნუ დამრჩებიან წყენითა,
 თუ სადღეგრძელო იმათიც
 შევსვა ფორთოხლის წვენითა!

ზუსტი თუ გახლავთ საათი —
 მხოლოდ და მხოლოდ მეტროში!

გოგილოცავს, ჩემო ხალხო!

მსურს სადღეგრძელო დავლიო
 მეტროს საქმეთა მედროშის! —

ვინც ოფლის წვიმა აწვიმა
 ყველა გვირაბს და მალაროს,
 ღმერთმა იმათი ოჯახი
 აბედნიეროს, ახაროს!..

ძველი ძველია! წავიდა!
 ძველს ნულარავინ მისტირის!
 ახლის დავლოცოთ მოსვლა და
 განწყობა ოპტიმისტური!

ემატოს თბილისს ახალი
 ულამაზესი ბაქნები,
 და საქართველოს შვილები —
 ბაქნიდან ხელის დამქნევი!

სამშობლოს ჩვენსას — საფიცარს
 და მთელი ქვეყნის სახატეს —

სულით და გულით ვულოცავ
 ზემს მშვენიერს — ახალ წელს!

—:—:—

წაიშალა ციფრი 5,
 დაიწერა ციფრი 6!
 საახალწლო სურვილებით
 დაიხუნძლა ჰანგიც, ლექსიც!

მხოლოდ ნაღდი გვინდა რწმენა,
 მხოლოდ ნაღდი გვინდა გრძნობა,
 მხოლოდ ნაღდი გვინდა ღვინო,
 შვილებისთვის — ნაღდი ცნობა!

წესიერს და უნამუსოს
 ერთმანეთში ველარ გავრევთ!
 ვინც ივარგა საზღვარს აქეთ,
 მას გავგზავნით საზღვარგარეთ!

ჩამოუსხი,ძმაო, ნიანგს
 მაი ანანასის წვენი!
 მომილოცავს, ჩემო ხალხო,
 იმედებით სავსე წელი!

გიაგვი



მეგობრული შარტი მწერალ თანაგზი გოგოლაძისა

მე ვლის კონსტანტინე ლორთქიფანიძეს

ჩვენს კონსტანტინეს, დიდ
ბატონს,
გულით ვულოცავთ ახალ წელს,
„კოლხეთის ცისკარის“ ბადალ
წიგნს,
აგობან, სწორად ახლა წერს!

გმირი, მასობა თბილისის,
ქუთაისის და აბაშის,
ჯარ ისე როდი დადლილა,
გამოაცხადოს შაბაში!

ნიანგი

ღ რ მ ა პ ო ზ ი ტ ი უ რ ი
ცვლილებების გამო, ცხოვრების
ნირის შეცვლასთან დაკავშირე-
ბით, განზრახული მაქვს გადაე-
ცვალო:
ქალაქში ჩასუნთქვა - სოფელში
ამოსუნთქვაზე;
ოთხთახიანი იზოლირებული
ბინა მაღლივ კორპუსში - უზო-
იან კოსტა ოდა-სახლზე;
ვერტიკალურად მეზობლები -
ჰორიზონტალურად მეზობლებზე;
გარაჟი - გომურზე;
„ვოლგა“ - ურემზე;
ოთახის პუდელი - ეზოს ნა-
გაზე;
ბუკერის უქმი როიალი - ბე-
კეკეების არვესთან ბავშვების რია-
რიაზე;
ვიდეოფონი - ოყიან თოსზე;
შოსევადებული ყანწები - თუნ-
გულასა და დოქებზე;
ექვსი დუჟინი ღვინის ჭიქა -
ერთ დუჟინ ჩაის ჭიქაზე;
ჩესური ბროლისა და ჩინური
ფაიფურის სერვიზი - სისა და;
თიხის ჯამ-პურქელზე;
სეიფი - ზანდუკზე;
სერვანტი - განჯინაზე;
ინგლისური საკეტი - სის ურ-
დულზე;
ფუტრის შლაპა - ნაბდის ქუ-
დზე;
შემოტმანისი ჯინსის შარვა-
ლი - მორგებულ ძიქვაზე;
ნეილონი - დარაიაზე;
ყურთუქის ბალიში და ყურთბა-
ლიში - მუთაქაზე;
ფუთიანი ლიპი - წერწება წე-
ლზე;
ალერგია - ენერგიაზე;
პიპოკინეზია - ასკინკილაზე;
ასთმა - ოთურმაზე;
გულის ფრიალი - ფრიალოებ-
ზე;
წელკავი - სიმძიმეების აწე-
ვაზე;
ლუდის ბარი - წერაქვსა და
ბარზე;
ლუდი - ბურახზე;
შაქრიანი დიაბეტი - ნატუ-
რალურ თაფლზე;
სიგარეტი „კოსმოსი“ - გერ-
გეტსა და ყაზბეგზე;
შარაფი - შარბათზე;
გამოსაფხინებელი - სიფხიზ-
ლეზე;
სუფრული - ურმულზე;
ცრუ დასწრებული - ნაღდ
დაუსწრებელზე;
ორი დოყლაპია უცოლშვილო
ვაჟი - ერთ ყოჩაღ ქმარშვილიან
ქალზე;
წყვილი „ლევია“ ცოლ-შვილი -
ერთ ნაღდ ცოლ-შვილზე;
უცხოეთში შორეული ტურის-
ტული საგზურით მოგზაურობა -
საუცხოო მშობლიურ ტერიტორი-
აზე საგზლით მოგზაურობაზე;
თუ ვინმე გაცვლის მსუველ
აღმორჩნდება, გთხოვთ აცნობოთ
ჩემს ნაცნობს, რომელსაც იცნობს
ამ სტრიქონების ავტორი

აპოლონ ბასილია

სიხარული შეგი მოუხვამს!

უიფაწყლო სპეციალიზებული,
უაუზახალო!

ფელატონი

პიკადა და პოვებდეო! — უთქვამთ. მართლაც, ძიებისას რას არ წააწყდებით თურმე, კუროფსაც კი, თანაც როგორ კუროფს, ათასჯერ რომ ნახავ და მაინც დაუჯერებელი ვგონია, ისეთს, მაგალითად, უმიწო და უწყლო კოლმეურნეობას, თანაც სპეციალიზებულს! ეს სიტყვა ნუ მოგატყუებთ, თვით ამ ლიტონი გამოთქმის გარდა, მეურნეობას არავითარი სპეციალიზაცია არ გააჩნია ისევე, როგორც არ გააჩნია მიწა და წყალი!

იქნებ ზოგიერთ მკითხველს ღიმილიც მოგვაროს ჩვენმა აღმოჩენამ. კერძოდ იმათ, ვისაც ომის შემდგომ წლებში საგარეუბნო მატარებელში ამ სახის კითხვა სმენია: „გინახავთ უთოვლო მწვერვალი? უწყლო მდინარე? უმიწო სახელმწიფო?..“ და ასე შემდეგ. ალბათ, ისიც გინახავთ — ამ კითხვის დამსმელი ოდნავ გადროვებდათ

და შემდეგ ყოვლისმცოდნის იერით გამცნობდათ: უწყლო მდინარე, უთოვლო მწვერვალი... და ასე შემდეგ, რუკაზე გახლავთო! ჩვენ შევეცდებით შორს დავდგეთ ამ იაფფანანი ყოვლისმცოდნეობისაგან და გაუწყებთ ძნელად დასაჯერებელ სიმართლეს:

1984 წლის 27 აგვისტოს რესპუბლიკის სათანადო შემდგომი ინსტანციების დადგენილებით ლანჩხუთის რაიონის სოფელ გრიგოლეთში შეიქმნა მეთევზეობის სპეციალიზებული კოლმეურნეობა, კარგა დიდი მანძილი ზღვის სანაპირო ზოლით, ფრიალის მიწითა და სვარგულებით. სულ 1553 ჰექტარი მიწა-წყლითა და განუზომელი ოდენობის ზღვის სიკეთით!..

სამეურნეო თვალსაზრისით დიანაც რომ წინ გადადგმული ნაბიჯია და, ტაშის კვრისა და მილოცვის გარდა, რა გვეთქმის ან ჩვენ, ან საქართველოს სსრ აგროსამრეწველო სახელმწიფო კომიტეტს, ვისიც გახლავთ ახალშექმნილი კოლმეურნეობა.

— ჰოდაო, — შემეკამათება ვინმე, — ყველაფერი რიგზე ყოფილა და — რაღა უმიწაწყლო და უმუშახელო დაგირქმევიათო?!

მზად ვარ, პასუხი გავცე პატივცემულ ოპონენტს:

1553 ჰექტარი მიწის საერთო ფართობიდან, რომელიც სპეციალიზებულ კოლმეურნეობას უნდა ეკუთვნოდეს, 905 ჰექტარი მანარაძის რაიონის კოლმეურნეობების მფლობელობაშია, 153 ჰექტარს სატბორე მე-

თევზეობის მეურნეობა უვლის, 100 ჰექტარი ტრესტ „კოლხიდიშენის“ განკარგულებაშია, მეორე 100 ჰექტარი ზღვისპირა სარეწველო უჭირავს. აღარაფერს ვამბობთ დასასვენებელ სახლებზე, ბანაკებზე, ტექნიკის ფოთის გადასამუშავებელ სააპაროებზე, რომლებსაც 1975 წლიდან დროებით სარგებლობაში აქვთ გადაცემული ათობით ჰექტარი ტერიტორია და რაც უზომოდ უვადო სარგებლობაში გადაეზარდათ. გასათვალისწინებელია აგრეთვე 211 ოჯახის საკარმიდამო ნაკვეთებად გაცემული 53 ჰექტარი!..

ვფიქრობთ, ყოველივე ამის შეკრება ნათელ სურათს მოგვცემს კოლმეურნეობის უმიწაწყლობის დასტურად.

ახლა რაც შეეხება მუშახელს, ან უმუშახელობას:

გრიგოლეთში, როგორც ვთქვით, 211 კომლია, ასე, ათასამდე სული მცხოვრებით. მათ შორის, ნახევარი თუ არა, შესამედ შრომისუნარიანია. დიანც, შრომისუნარიანია და შრომობენ კიდევ. მაგალითად, 140 სალსალამათი, სრულსაკოვანი, შრომისუნარდაუქვეითებელი მამაკაციდან უკლებლივ ყველა მუშაობს ქ. ფოთის საუწყებო და არა-



საუწყებო დაცვაში, ე. ი. ისეთ სამსახურში, სადც ოთხი დღე-ღამიდან მხოლოდ ერთია სამუშაო და ისიც... სხვა დღეები სმარდება პირად მეურნეობასა და ბაზარს, ან უკანონო თევზჭერას, ან... ყველაფერს ვერ იტყვი, კანონს იმ გვერდიდან წაგვიკითხავენ, საიდანაც მათთვის უფრო სარგისი ჩანს: მიწა ჩვენია? — ჩვენია! ვმუშაობთ? — ვმუშაობთ! საბჭოთა მოქალაქის უფლებები გვაქვს? — გვაქვს! ერთი სიტყვით, ყველაფერი იციან, გარდა იმისა, რომ სოფელი, რომლის შრომისუნარიან მამაკაცთა მეტ წილს გარეთ უჭირავს თვალი, ღიდ და საპატიო გვგებებს ვერ შეეჭიდება! მით უმეტეს, რომ გარეთ მარბენალ მამაკაცებს მანდილოსნებმა გაუსწრეს, მათი მეტი ნაწილი მთელი დღეები ქ. ფოთის საკოლმეურნეო ბაზარში ზის!..


როგორც ზემოთ ვთქვით, დაუჯერებელი, ყოველ შემთხვევაში, ძნელად დასაჯერებელი ამბავი გაუწყეთ. დასამატებელი ისლა გვაქვს, რომ ახალშექმნილ სპეციალიზებულს, ისე როგორც სმელეთზე მიწა, ზღვაში გემი და ზომალდი კი არა, ნავიც კი არ მოეპოვება, სხვას რომ თავი დავენებოთ! თევზებს ბადით იჭერენ ჯერჯერობით, აქ კი ზადევ არა აქვთ, თევზსაჭერი ადგილები კი დიდი ხანია ვადაგასული „დროებითი მფლობელების“ ხელშია!..

დ. ქალელი

ნახ. შ. დინსაქისა



— სანამ ეს ოჯახაშენებულები ამ ჩავშინან კარებს გამიღებენ!..



ხარხი იხმარეს..

ასალი წლის მეორე დღე ჩვეულებრივად დაიწყო: დილის ვარჯიშით, წყლის პროცედურით და ნაყოფიერი საუზმით.

რვა საათსა და თხუთმეტ წუთზე ფოსტალიონმა ფოსტა მოაცუნცულა: ჟურნალ-გაზეთები და რამდენიმე მოსალოცი ბარათი.

ნიანგმა პრესა გადაიკითხა, ბარათებს გადახედა და ნასიამოვნებმა ქუჩას მიაშურა.

ზუსტად ცხრა საათსა და ნულ-ნულ წუთს აჩვენებდა ქუჩის საათი, რასაც ჩვეულებრივად დაემთხვა მოსკოვის რადიოს მეექვსე სიგნალი. პაერის ტემპერატურა იყო ზუსტად ისეთი და ცაზე ღრუბლების რაოდენობა სწორედ იმდენი, რამდენიც წუხელ იწინასწარმეტყველა ამინდის ბიუროს სიმპათიურმა თანამშრომელმა.

მიუხედავად იმისა, რომ საქალაქო ტრანსპორტში ხალვათობა იყო, ნიანგმა მაინც ფეხით გავლა ამჯობინა თვალისთვის წყლის დაღვევინების კეთილშობილური მიზნით.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვეულებრივი, თბილისური დღე გახლდათ. უხმაუროდ მოძრაობის წესების პედანტური დაცვით დასრიალებდნენ მსუბუქი ავტომანქანების კერძო მფლობელები და სახელმწიფო ტაქსები. მათ ტოლს არ უდებდნენ შეგნებული ფენით მოსიარულეები.



ჩვეულებრივი დღე

იუმორისტა

ნიანგმა ჯიხურში მაგარკოლოფიანი „კოსმოსი“ იყიდა სამოცდაათ კაპიკად, თბილისური სანთებელათი მოუკიდა, ხარბად გააბოლა და დააკვირდა მგზავრებს, რომლებიც უკანა კარებიდან აღიოდნენ და წინიდან ჩამოდიოდნენ. ჩამოსულები ურნასთან მიდიოდნენ და შიგ მშვიდად ყრიდნენ გამოყენებულ ბილეთებს.

დახურულ ბაზართან ყოფილი გადამყიდველი ქალები სიგარეტებისა და საპარსების ნაცვლად ყვავილებით ვაჭრობდნენ სრულიად ოფიციალურად და ზედმიწევნით მტკიცე ფასებში.

„დინამოს“ სტადიონთან უზარმაზარი აფიშა იუწყებოდა, რომ ევროპის ჩემპიონთა და თასების მფლობელთა სუპერთასზე ერთმანეთს სედებოდნენ ქუთაისის „ტორპედო“ და თბილისის „დინამო“.

რადიორეპროდუქტორი მონოტონურად იტყობინებოდა, რომ ქართულმა კალათბურთელმა ვაჟებმა გადამწყვეტ მატჩში დაამარცხეს კაუნასის „ჟალგირისი“ და ჩემპიონები გახდნენ.

ვაჟა-ფშაველას პროსპექტის მესამე კვარტალში მოდიოდა ცხელი წყალი, ვოგირდის აბანოებში – ვოგირდისა, ზოოპარკში ლალად დასეირნობდნენ ყირაფები, მარტორქები, პინგვინები, ნებივრობდნენ ნილოსური ნიანგები და ბრაზილიური ალიგატორები.

შეწყობილად მუშაობდა ქალაქის ყველა ტელეფონ-ავტომატი.

ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი, თბილისური დღე იყო.

ლარი ჩანტლაქი

პურივერბა ი ქ რ ო ს ღ ვ რ ი ფოროვლების მოიხი აკოვდ ურავდა. მუზეუ მხსობ, ვაღლისა და კოშკის თაობაზე. მიერ ურადგან ირადგან. მუზეუაული სერვისი იყო სურვე პირმა ქუი. უ-
 რედერ სანი მია ქრესხ შეკურება, ვაგის მუზეუ-
 მის შორის სინდრის ლურჯის ამბოჯი, დავანა, ნიადაგი. ახლი პირხადასაფის მომარადგან. მუ-
 შეობდგომაც დახარულ ვადვადერბული მიწა მიქ-
 ტრის იმამაც, მოსავლიც მეტს და უფრო ხარისხიან
 ირადგან.

ამდგომელი ვადვადებელი ავიღ ხედაი ამის,
 რომლის ტანი იმდამი, მადრონი სტრის ნიმათი.
 ვადგან რაჟა ქ-თაირი წყარის ჩაირანი სოვდე
 ახუტების ხარმადგელი სკილის მადგან. არაქ
 ვისას ვადვადგან მეუკ: ირადგედ ვადგა, იმდამი.
 დან ჩამოვადგან, კარგი უნდა აგოსი ტარი მი-
 ვადგან, ვადგან და კარგადიც ავიღვე. მუზეუალ მო-
 შეკურბად დავარი შენის ახალკედელი იარკი ია.
 ტარი ეს ვადგან უმდარი ხედაი, ტარი ქო ცხედ
 ნარკა მიწამი. ახაც როგორ მიწამი? ათი წლის

მანძილზე სახმავდგომი დამუშავებულნი. სრულიად
 უშეორად წამიკვლი იგი. ვადგანე ვადვადგან.
 ეს რადგან იგი დამავდა: ამის, მადგან და თა-
 ვის, მიწა სურდ არ მადგინა, ხედაიდ ვადვადგან
 შენათა ვადგან მადვადგან!

ა რუნა მეწანა ვადვადგანეუბამა, ათი წლის
 წინაი წესი სოვდეში სერიორბელი ვადგანე
 დელი თითქმის ენდე ვადვადგან, მადგან ცვლი
 ფადვადგომი მადვადგან თითი მიწამდე ტარი მადგან
 და ვადვადგან სურდე, თან ვადვადგან, სერიორბი, მი-
 რადგან სოვდეში, იმდამ ხელი, მამამადგან წესი
 დამდგანული ამის როგორ უნდა ხედაიდ ცივალ
 ზედალ მადგან, იმდამი დამდგანეუბამა.
 ისიც ვადვადგან, რომ დელი სამიღველი რისი წესი
 ში, ფადვადგან ხელი ვადვადგანეუბამა.
 ვადგან ჩამიღველი ვადვადგან, როგორ ვადვადგანე-
 დი თამდგან ვადგან, რომ მადგან დამდგანეუბამა
 დამდგანეუბამა დამდგანეუბამა. მადგან არა, ისე მად-
 გან იყო ვადვადგანეუბამა, ვადვადგან ვადვადგან. ვა
 კრახელ კრახელ სერიორბის წესიან და ვადვადგან
 ვადვადგან: ახლ უადვადგან ხე ვადვადგან ამის, მადვადგან!



ფადვადგან

სახ. 3. დარსისი



— თობილადგანეუბამა რომ დავადგანეუბამა, მე იხა ვარი

ახალი პირადგანეუბამა ვადვადგანეუბამა

● **პირადგანეუბამა** ნამდგინი რადგან
 კინობანი მივადგან
 ● **რადგან** თედგან არ დამდგანე,
 თადგანე დამდგანე
 ● **რადგან** ნამდგინი არ არის,
 მის ვადგანე ვადგანე
 ● **რადგან** ნამდგინი პერდინე-
 რის პერდინე
 ● **რადგან** სივადგანე სავ-
 ვადგანეს დავადგანეუბამა
 ლ. სურდაა

2020 ვადვადგანეუბამა

იხივდა, ღვივინი პიპინელი

პაროდის

ნურც დარსხამ და ნურც დალდე
 იმ დარსის ოზგრებალსა,
 თორემ, რომ ვადვადგანეუბამა
 და მუბლს მიუფერი ნივდას,

ვილარ ვადვადგან ამ ვადვადგანის
 წადგანეუბამა ტიობასა.
 თვანახალდე დავადგანეუბამა,
 ვის რას აუციებ ზიანსა!

შინ დავდე, უმეოზესი,
 ვადგანე მადვადგანეუბამა ვადვადგან,
 ცაინ ადვადგანე რომ არქვემე,
 თუ ქუნიამი წერი რივანსა,

თორემ ვიდვადგანეუბამა ვადვადგან
 «ცაინ ადვადგანეუბამა მისა»;
 «არ არისა წადვადგანეუბამა წადგილი,
 იმდამ აწვილ-წადგანე!»

გამდგინი

თუ ბაბუსი ვადვადგანე
 და თადგან ვადვადგანეუბამა ვადვადგან,
 ვადვადგანეუბამა ვადვადგანეუბამა
 «გამდგინი-ლე» რა!..

ლღის სადი ვინახთი ვი ოლითი
 100-მადგან-მადგან-ეგ-მადგან

პარადგანეუბამა გამდგინი

დღეის დამდგინი

- ვადგან წადვადგანეუბამა, რას უნდა
 ებივადგანე ამ ახალკედელი კაცისთვის
 მამდგინი მოსადგანე
- ვადვადგანე ვადვადგანე!
- ვადგან დავადგანე!
- ვადგან ვადგან, ის დავადგანე იმდამ
 სადგან!

სამოვადგანეუბამა

— ცივადგანე მოვადგანე, ვადვადგანე,
 და ახლდე დავადგანეუბამა მამდგინი
 — ვადგანე დავადგანე, ებივადგანე, მე არის
 ვადვადგანე, მოვადგანე ვადგან!

- თედგან და თედგან ვადვადგანე ამ
 მამდგინი კიობის ცეცხლს ვადვადგანე
 მადგანე როგორ ვადგანე, რომ თედგანე მე
 ვადგანე ვადგანე ვადვადგანე, თედგანე ვადგანე
 მამდგინი ვადგანე ვადვადგანე!
- არ არისა ეს ვადვადგანე! ის იმ
 ცივადგანე დავადგანე, ვადგანე ვადვადგანე!

- თედგანე არ, მადგანე არ ვადვადგანე
 ვადვადგანე
- არა ახლა ვადგანე ლადგანე,
 ვადგანე თვადგანე ვადვადგანე ვადვადგანე!
- ვადგანე სადგანე ვადვადგანე!
- ვადგანე ვადგანე ვადვადგანე!

ნადვადგანე ვადვადგანე



— შელო, ხომ იცი, ჩემი დავადგანეუბამა სავადგანე შენ უნდა ვადვადგანე!

ნადვადგანე 30

● **მადვადგანე** ვადგანე ვადგანე ვადგანე
 ვადვადგანე ვადვადგანე ვადვადგანე ვადვადგანე
 — ვადგანე მოვილდე ჩამდგინი და დავადგანე
 მეს ვადვადგანე!

დვადგანე

— ვადგანე ვადგანე, ვადგანე, ვადგანე!
 ნადვადგანე ვადვადგანე ვადვადგანე!
 — ვადგანე ვადგანე, ვადგანე, ვადგანე!
 ნადვადგანე ვადვადგანე ვადვადგანე!

ვადვადგანე


— ვადგანე ვადგანე, ვადგანე, ვადგანე!
 ნადვადგანე ვადვადგანე ვადვადგანე!

კინობანი

— თედგანე რადგანე არ სვამთ ვადვადგანე
 — ვადგანე ვადგანე ვადვადგანე ვადვადგანე!

ვადვადგანე ვადვადგანე

სახ. თამარ მოვადგანე



ფაქტობრივად

შავიყარანით სადგურ გრაკლის მისადგომებთან ყარა-
ლაჯული, ხანდაკელი, ხასირელი, გრაკული და ღუესელი, მერე ფა-
შინელიც დაგვემატა, ქვისლთანა ყოფილა აქეთა. არც სახელები
ვიცი ურთმანეთისაი, არც გვარები.

პოდა, ვდგავართ გრაკლის მისადგომთანა, იქვე გვერდზე ხასის-
კის ღუქანია, გვემს ცხელ-ცხელი ხასისკის სუნი, მაგრამ რა გვე-
სახსიკება?! აქ იმითმ შავიყარანით, რომა ჩვენი სოფლებიდან სა-
დგურისაკენ წამოსულმა გზებმა შავყარა, მოგვიყვანა აქნამდისნი
და აქ დაგვაყუდა მათხოვრის კეტებივითა.

რა გვესახსიკება?! — მატარებელზე გვინდა წასვლაი, მაგრამ ვერ
გავვიბედი! ვერ გავვირისკავს ბოგირზე გადასვლაი, თანაც ისიც
გასარკვევია, სიღია თუ ბოგირი, რო აღარაფერი ვთქვათ მის წარ-
მოშობაზე. როდის და ვინ გადადო ღრმა არსზე ეს სიღ-ბოგირა,
ჯერჯერობით ვერც ყარაღაჯულმა მკითხავემა გაარკვია და ვერც —
ფაშინელმა.

ძველი რეცეპტია გადადებული არსზედა, იმათ შუა კი აღარაფე-
რია, ერთი სიტყვითა, ჯიგარი გამოცლილი ააქ სიღ-ბოგირასა, შიგა
ხან ფიცრებს ჩადებენ შოფრები, ხან — რასა და ხან რასა. ერთი ხა-
ნობა სრუში ჩაყარეს და ისე დადიოდნენ ავტობუსები, მაგრამ გაზაფ-
ხულით წყალი რო წამოვიდა არსში, ისევე ამოხაპეს და რაღაც-რა-
ღაცეები ჩააწყეს რეცეპტზე, ფეხინასავარდნი ადგილები ბლომად
ღარა... მოდი და, გადადი ამ დილაბუნელზე, თუ ბიჭი ხარ!

მატარებლით რო მოპარული რამე მოაქ ვინმესა, მილიციონ-
რო ჩამოივლის და იკითხავს ვისიაო და პატრონი არ უნდებდა.
ისეა ამ სიღ-ბოგირას საქმეი. კასპის რაიონი ამბობს, რკინიგზი-
სააო! რკინიგზა ამბობს, რაიონისააო! საბოლოოდ არავისც აბ
არი..

ამასა უნიოდით და ახლა მეორეც დაგვიმატეს, ლიანდაკებსა და
დენის მათულებზეიდან რო გადაუარა რკინიგზასა, შარლაძისნი
თუ აყოლო თვალი, ქუდი აღარ შეგრჩება თაუშედა, თუ აქედან
სომ ლაპარაკიც შედმეტია, გამკეთებლების ჯუჯით კიდევ კომბოს-
ტოსმეშკებიანად, პამიდვრით ხავსე ვედროებად გადაკეთებულ სა-
რეცხისქვაბებიანად უნდა ვიართ შედა, ჩვენ კი ადგილიდანაც
ძლივსა ვძრავთ ამსიმძიმე ტვირთსა. ჩამოდგება მატარებელი, ბარ-
გი აქეთ გვილაგია, შემანქანე კიდევა შალალი ბაქნის მხარეს ალებს
კარებებსა, ჩვენ კი, აბა, ამდენი ბარგით როგორ ავალოთ იქა?! შევ-
ბლავით ხოლმე, გავვიღე-გავვიღეო და ისიც გვიღებს. ერთიც უნა-
ხვით და, არ გავვიღეო?..

უფრო უარესი საღამომით სდება: გამოიშლებიან შედა ბაქნე,
ეს ახაბაკებულ-აბარგებული მგზავრები და უნდა გაყურებინა, რაბს
სწაღიან!..

რო იტყვიან, მწიფეს ესროდნენ, მკვანე ცვიოდაო, ზუსტად ვერ
სდება: მკვანეები — ახლაგაზრდები — ძირს ცვივა, მწიფეები — ბებ-
რები, ჯანდაგები, ინფარქტიანები, წნევიანები, ბრშები და კოჭლე-
ბი შალა ვრჩებით და აღარ ვიცით, რა გზით მივიღეთ ავტობუსამ-
დინსა!.. გაბედო და ლიანდაგებში ჩასტე, — ვაითუ, თავპირი დამ-
ტვირო, ან მატარებელი წამოგეწიოს!.. ბაქნის ბოლომდისნი ჩაწვი-
დე და კიბეს დაუყვე, — ძან შორს არი, აღმა აუყვე ცაში ადგმულ
კიბესა, — მაგაზე სომ ფიქრიც არა ღირს!..

ხანდახან, ბაქნიდან ჩანტომში რო სვლი შეუშალონ მგზავრებსა
რკინიგზელები ტავარნი ვაგონებს ჩამოაყენებენ ხოლმე! აი, მაშინ
ადიან ჯივლები ცისარტყელასავით ცაზე გაკრულ სიღზედა, მაგრამ
შამთარში ველარც ისინი ავლენ — იქ ერთხელ რო ფეხს მოიკიდებს
ყინული, გვიან ზაფხულამდე აღარ გალხვება!..

სიმძალეს რო თავი დაანებო, არც ისეა სანდო: ამას წინათ
ერთი საფეხური ჩაინგრა — ბუტონი დაუძახე შენა, ინგრევა კია და!.
ერთიც უნასოთ, კიდე ჩაინგრეს და ამ სიცივეში იქ მოეშყვდე
უსმელ-უქმელი?!

ისე, ძან მაგარი სიდი კია. ახლაც ვდგევართ გრაკლის მისად-
გომთანა და მაგაზე ფიქრობთ. ეს კრუნიპალო ყარაღაჯული ამბობს
ორიოდ რამ გროში ეღირება, თორემ ასე ბეღიავად არ ააშენებ-
ნენო! მართლა ვერე ეღირება, ასე უმაქნისად იმითმ დაავდესო! —
ემოწმება დოესელი ახვირაკი, გრაკული ოფო-ბოცო და სოვლელი
აუშენდილიც თავებს აქნევენ თანსომბის ნიშნადა, ფაშინელი და
ხანდაკელი კი თავს ვიკავენთ.

ამიტომაც გვინდა, ნიანგსა ვკითხოთ: მაინც რა ეღირება ეს
სიდი?

მანამდისნი ვდგევართ სიღ-ბოგირასთან და ვერ გადავიწყვეტია
გავრისკოთ თუ არ გავრისკოთ შედ გავლა?!

პატივისცემით ფაშინელი ფაშინელი ფაშინელი ბოგირ-ოღლი.
ფაშა ფაშინელის სელმონწერის სინამდვილეს ვადასტურებ

ელგუჯა მერაბიშვილი.

ნ.ბ. ზ. ფორჩხიძისა



ცილისმწამებელი

მელნადა აქვს გველის შხამი, კალმად — ენა გველის!..
ზის და ცილისმწამებლურს წერს ანონიმი წერილს!..
არ დარჩება, მწამს, არც ერთი ცილისმწამებელი
გამოუმეღავენებელი და მკაცრად დაუსჯელი!

სასამართლოს არჩივიდან

● **ვინაიდან** დაპატიმრებამდე თანამდებო-
ბის პირი ვიყავი, გთხოვთ, საბრალდებო სკამი სავარძ-
ლით შემეცვალოთ!

ჩემს მიერ ჩადენილი დანაშაული კვალიფიციურ-
ბულია თავისუფლების აღკვეთით 8-დან 18 წლამდე
ვინაიდან ამ ასაკიდან დიდი ხანია გამოვედი და უკვე 48
წლის გახლავართ, გთხოვთ სასჯელის ზომა შემეზარდოთ
ჩემი ასაკიდან, ე. ი. 48 წლიდან 50 წლამდე!

მთელი ჩემი ცხოვრება ყველაფერში ზედმეტს
ვიღებდი. ბოლოს, როგორც იქნა, ზუსტად იმდენი მივი-
ღე, რამდენიც მეკუთვნოდა: 15 წელი მომცეს!

ვინაიდან დანაშაული მთვრალმა ჩავიდინე.
მოვითხოვ, სასამართლო პროცესზეც მთვრალი წარმად-
გინოთ!

ვაგუჯა ღვინაძე

„ღვერთმა ქნას!“ — ამ სიტყვებით თავდებოდა ამასწინანდელი („ნიანვი“ № 17), რომელშიც 13 მთვრალი მძღოლი გვყავდა მხილებული. იქვე ისიც იყო ნათქვამი, რომ საჭესთან მთვრალები აღარ სხდებიან, მორჩა და გათავდა, შეშინდნენ, აწი მთვრალებს სუფრასთან თუ, თორემ ავტომანქანის მართვის დროს მათი ნახვა წარმოუდგენელია. თურმე, წარმოუდგენელი კი არა, ადვილი წარმოსადგენი ყოფილა! სწორედ არაფსიველ მდგომარეობაში

ავტომანქანის მართვის დროს თბილისის ქუჩებში დააკავეს ქვემოთ დასახელებული მძღოლები, რომლებიც, ვინ იცის, რა დანაშაულს ჩაიდენდნენ, დროზე რომ არ შეეჩერებინათ!.. აი, ისინიც:

1. სვილა კასუმ-ოღლი შაირაშვილი — მშენებლობის სამინისტროს № 2 საერთო სამშენებლო ტრესტის მეორე სამშენებლო სამმართველოს მებეტონე.
2. ბონდო ვლიზბარის ძე ჯანგირაშვილი — სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მომარაგების განყოფილების ექსპედიტორი.
3. იაკობ პავლეს ძე პავლოვი — თბილისის გლდანის რაიონის 173-ე საშუალო სკოლის სამხედრო საქმის მასწავლებელი.
4. თამაზ გიორგის ძე მწყერაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სპეციალისტის IV კურსის სტუდენტი.
5. გურგენ ხანატურის ძე მელქონიანი — თბილისის ელექტრომექანიკური ქარხნის ოსტატი.
6. ვლადიმერ ვიქტორის ძე ვენატოვი — ჯანმრთელობის დაცვის



13 მთვრალი მძღოლი — საჭესთან

სამინისტროს რესპუბლიკური სამმართველო „საქმედტექნიკის“ „საქმედუნებადმონტაჟამარაგების ელექტრომექანობები. გიორგოთაძე

7. ნოდარ რობერტის ძე სოყურაშვილი — თბილისის წყალსადენის მეურნეობის ტრესტის მე-11 საექსპლუატაციო უბნის მუშა.

8. ოტო ატოს ძე ვულუდანი — სამშენებლო ტრესტ „სოიუზ-ელექტრომონტაჟემშენის“ დურგალი.

9. ზ. გ. გელაშვილი — თბილქალაქმშენის“ კომპურა ამწეების

სამმართველოს მემონტაჟე.

10. შალვა დავითის ძე გოგელია — საკავშირო სპაროექტო ინსტიტუტ „ორგენერგომშენის“ თბილისის ფილიალის ჯგუფის ხელმძღვანელი.


11. გერონტი ნიკოლოზის ძე დადუნაშვილი — „თბილტანსაც-მელვაჭრობის“ № 20 მაღაზიის კონტროლიორი.

12. ლევან ვაგოს ძე სიმონიანი — მოსახლეობის დაკვეთით ბინების შეკეთებისა და მშენებლობის ტრესტ „თბილყოფრემშენის“ I მაისის რაიონის № 7 სარემონტო-სამშენებლო უბნის მუშა.

13. ანზორ ნიკოლოზის ძე ლვინაშვილი — საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის მე-3 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტობუსის მძღოლი.

სინანულის და სიმწარენარევ ღიმილს იწვევს რიგით მე-12 მთვრალი მძღოლის გვარის ფუძე. არაყიშვილებს, ჭაჭიაშვილებს ლვინაშვილებს და მისთანებს უფრო მეტი წინდახედულება მართებთ, რათა ვინმემ ეჭვი არ შეიტანოს მათ სიფხიზლეში!

ჟანი სინარულიძე



ნახ. ჯ. ლოლუასი

— თქვენ სიჩქარეს ოცით გადააჭარბეთ!
— ნამეტანია, უფროსო, მოდი, შუაზე გავიყოთ!




განახლდა გული! — დღეს ის აღარ ვარ. რაც უფინ ვიყავი! — ფერი ვიცვალე! გზა დამიცვალეთ, არყის ბოთლებო, ლუდის კათხებო, გზა დამიცვალეთ!

თქვენ, ძმაბიჭებო, ძველო ლოთებო, აღარ მინდინხართ, ნუთუ ვერ ხვდებით?! ჩემგან შორს წადით, სხვა გზით იარეთ: გულს ნუ ამირევთ, ნულარ შემხვდებით!

ვივიწყებ წარსულს და ლოთბაზრობას გამოთხოვების ცრემლებს ვაპყრები.. გავანადგურებ აწ უაზრობას, აწ ყველა სასმისს გავანადგურებ!

წამების ცეცხლში განახლდა გული, კვლავ კაცად ვიქცე, ფერი ვიცვალე! გზა დამიცვალე, ძველო ცხოვრებავე, და ალკოჰოლო, გზა დამიცვალე!

განახლდა გული



მსუკუნეობიკი! ახალი წელი!

ახალ წელს ყველა ოჯახი თავისებურად ეგებება: ზოგი ბაზარში მიდის და საახალწლოდ სურსათ-სანოვაგეს ყიდულობს, ზოგი სოფელში მიემგზავრება და იქიდან მოაქვს ხორავი. ასე რომ, ყველა ერთი საქმითაა გართული. მე ვიფიქრე, ამდენ წოწიალს, მოდი, ცოლ-შვილს საახალწლოდ ახალი ბინა რომ გვეკუთვნის, იმაში შევიყვან და, თუ დალოცვაა, იქ დავლოცავ-მეთქი და სიდედრის ჩამოტანილ გოჭს მალაზიაში ღორის ხორცის ყიდვა ვამჯობინე სახლში რომ ვთქვი, ახალ წელს ახალ ბინაში შევიდვიართ-მეთქი, ყოველთვის ახალ-ახალი წარმატებები გქონდესო! — მისურვა სიდედრმა, და, ჩამოტანილ გოჭს ინდაურის ფულიც მიუმატა. ბინა მეოთხე სართულზე მივიღეთ. მართალია, ლიფტი არ


მუშაობდა, მაგრამ — არა უშავს, სახლი ახალი ჩაბარებულია და ყველაფერი გამოსწორდებაო! — თქვა მეუღლემ და ფეხით აუყუყუეთ სართულებს. სიდედრმა ცოტა ირონიულად ჩაიღიმა, აბა, სიდედრი რის სიდედრია, თავი თუ არ შეგახსენა?!

პირველად ცოლი ავიდა და კარების სახელური მოსწია, მოსწია და „შურუპებიანად“ შერჩა ხელში.. ოთახში შევედი. თურმე ახალი ფათერაკი გველოდა: სიდედრმა ოდ-

ნავ ხელი შეახო კედელს და ატყდა კივილი ბათქაში ერთიანად ძირს წამოვიდა, ცოლ ვაჟაცურად შეხვდა გასაჭირს და, ვითომც აქ არაფერიო, მაგიდის შემოტანა ბრძანა შემოტანა ცოტა გაჭირდა: კარებში არ შემოვტანეთ ოთახში. ბავშვმა მიიხრა, მამიკო, სინათლე აანთეთ! ხელი ელექტროლიდაქს დავაჭირე. „წკაპო“, გაისმა. სინათლე არსად იყო. არა უშავსო, — თქვა ცოლმა, — სანთელს ავანთებ, ასე უფრო ორიგინალური იქნება, მთავარია, ბინა სომ გვაქვსო? ჩემი მეუღლის წყალობით მარტო ჩვენი ოჯახი იყო განათებული. ჯერ ერთმა მეზობელმა დააკაუნა, თუ შეიძლებაო. კი, ბატონო-მეთქი, მერე მეორე მეზობელმა მოიბოდიშა, სინათლე არ გვაქვს და თქვენთან ვიქნებითო. ასე თითო-ოროდ გაივსო მეზობლებით ოთახი და, მათი გადამაკიდე დილაამდე ისმოდა ჩემი ბინიდან სიცილი და: ომახიანი სიმღერა. მრავალჯამიერ, ახალწელი!

გურაბ ჩხიკვაძე (ქ. ბათუმი)





50 ზლის გურამ პაპიტაშვილს —

საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ჭიდაობაში ძიუდოში, გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს,

რომელმაც:

აღზარდა ევროპის ოთხგზის პირველი საბჭოთა ჩემპიონი ანზორ ქიბრაძე-შვილი, ოლიმპიური თამაშების პირველი საბჭოთა ჩემპიონი შოთა ჩოჩიშვილი, მსოფლიოს ორგზის პირველი საბჭოთა და ევროპის ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების მფლობელი გორის მწვრთნელი მანუჩარ მჭედია.

მაშების მეორე პრიზიორი თემურ ხუბულური, ევროპის ჩემპიონი როინ მაღალთაძე, სტუდენტთა მსოფლიო თამაშების ჩემპიონი გია თენაძე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თაისის მფლობელი (გუნდური) კობა კურტანიძე, საბჭოთა კავშირის თაისის მფლობელი (გუნდური), საქართველოს 1985 წლის აბსოლუტური ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში და სპორტული წლის ლაურეატი ჯემალ მჭედლიშვილი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გივი ზაუტაშვილი, ცამეტი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ასზე მეტი სპორტის ოსტატი, ათამდე საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

რომელმაც:

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. და 1985 წლის საუკეთესო მწვრთნელთა ათეულში შევიდა.

რომელმაც:

საქართველოს სსრ სპორტკომიტეტმა და გორის საზოგადოებრივმა შარშან გადაუნადგეს დაბადების 50 და პედაგოგიური მოღვაწეობის 30 წლისთავის იუბილე.

ძღვეამოსილ ძიუდოში, ანუ პაპიტაშვილს გურამს, გამოწყობილს კიშოში, ვესალმები ნიანგურად!

როცა იგი დაიბადა, შეაფასეს იუკოთი აქეთ დედის ძუძუს წოვდა, იქით — ძუძუს ძიუდოსი.

ჩუი, ანუ გაფრთხილება, არ ჰქონია ერთიც რადგან, ქულა გურამ იუკოსი ვაზარამდე გაიზარდა.

მან აქცია ჩვენი გორი ძიუდოსისტების მექადა,

და ძიუდოს გორის სკოლა, ყველგან რომ ქუხს, მანვე შექმნა.

საბჭოეთის ნაკრებს ბევრჯერ სახელოვნად უთავაკა და ნაკრებმა მიაღწია წარმატებას უზარმაზარს.

ჯერ ადიდა გორი გარეთ, მერე ადგა, ადიდა შინ და მსოფლიო მოიარა ბამბეულის ადიდასით.

უცხოეთშიც საუცხოოდ უნათებდა გორიჯვარი!.. ანსოვდა და ანსოვს კარგად გურამს, ვისი გორის არი!

ქართლის ყველა ყრმა, ჭაბუკი ძიუდოში გაწვრთნა როცა, ძუძუმწოვარ ბალებს მისდგა და ასწავლის ძიუდოსა.

მწამს, გურამი მომავალშიც ტრიუმფით და ძღვევით ივლის, გაასარებს კვლავ სამშობლოს ლომზე ამხედრებულ გმირის!

იპონებით გაზრდის მრავალ ახალ ანზორს, თემურს, შოთას... და ყოველთვის გამარჯვების წყალს მოიტანს მისი კოკა!

ჩემპიონთა სწორუპოვარ, აბსოლუტურ მწვრთნელს და აღმზრდელს მე, ნიანგო, ტყავს გავიძრობ და ტატუადა შევთავაზებ!

მო, ძიუდოს ნაღდ გენიას, რაინდ გურამს. პაპიტაშვილს, იუბილე მივულოცოთ და დავეუკრათ ნაღდი ტაში!

„ნიანგის“ დავალებით —
ზაურ ზოლქვაძე

მეგობრული შარკი მწერალ
თინათინ ხალოლაძისა



ქალაქი ქვეყლა

უსასმელოდ დრტვიანავს, ლელავს, ვერ ისვენებს, დარბის, შფოთავს, ხან აღვიძებს მძინარ ველას, ხან ძილს უტეხს დაღლილ შოთას!..

„მეკვლე ვარო — კარგი კაცი!“ — კარზე ჯიქურ აკაკუნებს და მეზობლებს ძილს არ აცლის — მოსვენებადკარგულებს!..

სურს, ყოველდღე მოილხნოს, უსასმელოდ ვერა, ვერ ძლებს!.. ოღონდ ბლომად ასვით ღვინო და ყველასთან მივა მეკვლედ!

თინათინ ხალოლაძე



ნ.ს. ვ. კუცინას

— ასე ტკბილად დამიბერდიო!



საბჭოთავი და იუმორის
ჟურნალი „საბჭო“ № 1
(1707) იანვარი. გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ზორაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ჭაბუა ამირეჯიბი, ნოზლი
ბარათაია, შარის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ქე-
ნელ ლოლუა, ნოდარ მაღა-
ზონია (მხატვარ-რედაქტო-
რი), ალექსანდრე ხაშკონია,
ბეჟან ხიზარულაძე (მოაზარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წიფიძე, ნათე ჭუსთოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადიცა ასაწყობად 6. 12.
85 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 14. 01. 86 წ. ქა-
ლალის ზომა 60X90¹/₂.
ფინანსური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, სააღრიცხვო-სივ-
რით მთლიანად თანხა 1,9, სა-
ქართველოს კა კა-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14.
შეკვეთა № 2899. უც 05005.
ტირაჟი 143.000. ფურცელი
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 280908.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მოაზარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაეების — 99-02-38,
მდივან — მემანქანის —
99-76-69.

სატირიკო - იუმორისტиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке) Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
типография издательства
ЦК КП Грузии, Тбили-
си, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი.
ინდექსი 76137



ნახ. 8. აბაშივილი

მეზილოვის წლის შემოდგომა

